

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

2020 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ N-156 ხელშეკრულებაზე

დაბა მესტია

1 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „კომპი“ მისი დირექტორის გიორგი ჯაფარიძეს სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შ.პ.ს „კომპი“-ს 2020 წლის 16 ნოემბრის N13/11 მომართვის, მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის N262 მოხსენებითი ბარათისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მხარეთა შორის 2020 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული N-156 ხელშეკრულების მე-11 (ფორს-მაჟორი) და მე-17 მუხლების 1-ლი პუნქტების შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგზე:

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N-1 დეკრეტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შედეგად, შეზღუდული მიმოსვლისა და სხვადასხვა საქმიანობის გამო, შეფერხდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შესრულდა, წინამდებარე დანართის პრეამბულაში მოცემული სამუშაოები, შევიდეს ცვლილება: **მესტიის მუნიციპალიტეტის დ.მესტიაში უშბის ქუჩის და გივი ჯაფარიძის ქუჩებზე საყრდენი კედლების მშენებლობა.** მხარეთა შორის 2020 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-156-ე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 30 მაისამდე.
2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 30 ივნისამდე.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-156-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია

შ.პ.ს „კომპი“

ს/კ 235895046

ს/კ 435892296

მერი

დირექტორი

კაპიტონ ჟორჟოლიანი

გიორგი ჯაფარიძე
